საქართველოს სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციური პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 47

შაბათი, ოქტომბრის 15
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხ. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხ. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

პარტიული „ცენტრისტებისადმი“

მეექვსე თავისუფალ კონფერენციაზე ჩვენს პარტიაში ორი მიმართულება იბრძოდა, ორი პოლიტიკური პოლიუსი მოსჩანდა: ერთის მხრით იდგა პარტიულ „უხუცესთა“ ხელმძღვანელობით ჩვენი პარტიის მენშევიკური ნაწილი და მეორეს მხრით ამ ბურჟუაზიული პოლიტიკის მოწინააღმდეგე და სოციალისტ-მეშჩანიზმთან კონტაქტის სასტიკი უარმყოფელი ფრთა, რომელსაც „სოციალისტ-ფედერალისტის“ ჯგუფი მეთაურობდა. ჩვენ სხვა ჯგუფს, სხვა პლატფორმას ვერსად ვპოულობდით. შალვა ნუცუბიძე მხოლოობით რიცხვში დარჩა, მისი ცდა—შეერიგებინა მიმდინარეობანი ულმობელად დამარცხდა და ეს ფინალი მან საჯაროდ აღიარა.

მართალია მემარჯვენე სოც.-ფედერალისტები რევოლიუციურ ფრაზეოლოგიით ლაპარაკობდენ, სოციალისტური რევოლიუციის მიჯნურობას ჩემულობდენ, მაგრამ მათში არსებითად ლაპარაკობდა მენშევიზმი. ისინი ერთის მხრით „შესაძლებლად“ სცნობდენ საბჭოთა ძალა-უფლებობის არსებობის ფარგლებში მუშათა ინტერესების დაცვას და მეორეს მხრით კაპიტალიზმის ცხოველმყოფელობის დამტკიცებაში ხარჯავდენ მთელს ენერგიას, მთელს თავიანთ ძალ-ღონეს. მათი პოზა ხელოვნურ პირბადეს უფრო ჰგავდა, რომლის ჩამოხევა ჩვენთვის დიდ ენერგიას არ მოითხოვდა და ამიტომაც ჩვენ შორის ბრძოლა კონფერენციაზე გადაიქცა ბრძოლად ორი საწინააღმდეგო პოლიტიკის შორის. ამ ბრძოლას ახასიათებდა ყველა ის თვისებანი პოლიტიკური შეჯახების, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე სოციალისტურ მიმდინარეობაში. აქ ჩვენდამი მომართული იყო ზიზღი, შეურაცხყოფა, უპატივცემულობა და ერთი სიტყვით ყველა ის, რაც ახასიათებს თანამედროვე სოციალისტების პოლიტიკურ შეჯახებას. და ჩვენ ყოველივე ეს მომხდარი ოდნავადაც არ გვაღონებს და უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ ამ გაწიწმატებაში გამომჟღავნდა, ამოტივტივდა დაფარული ზრახვანი—ნამდვილი მათი პოლიტიკური ფიზიონომია. დამაღონებელი გარეგნულად პარტიის რაზმების შემცირება ჩვენ დადებითად მიგვაჩნია მისი გაჯანსაღებისათვის. ზოგიერთი გულუბრყვილო, ან პოლიტიკურ სიმწიფეს მოკლებული ამხანაგები პოლიტიკურ ხაზს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ან სრულიად უყურადღებოთ სტოვებენ მას; ისინი ავტორიტეტებით აზროვნობენ, პიროვნებებს აქცევენ მეტს ყურადღებას. არ იგონებენ, რომ ჩერნოვ-კერენსკები, შეიდემან-კაუცკები რევოლიუციისგან გარიყულნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი სულ ახლო წარსულის დიდი ავტორიტეტებია. პოლიტიკამ არ იცის „ძმობილობა“, ან კიდევ „დიდი კაცების“ უცოდველობა; იგი უფრო მეტს სიბრძნეს თხოულობს რაც შეიძლება აღმოაჩინოს იმას, ვის სახელსაც მოწიწებით არვინ იხსენიებდა. პოლიტიკა თავისებური სტრატეგიაა, რომელშიც შეიძლება გამოცდილმა გენერალმა ფეხი მოიტეხოს. ეს სხვათა შორის ვსთქვით, რომ მოგვეხსენებინა ზოგ მერყევ ამხანაგებისთვის შეცდომა პიროვნული საზომით პოლიტიკური გეზის სისწორის დაფასებისა. თორემ განა ჩვენმა ამხანაგებმა არ იციან, თუ რამოდენ გენერლობას იჩენდნენ პარტიის ხელმძღვანელობის დროს დღევანდელი მეთაურები ე. წ. მემარჯვენე ფედერალისტები! ამას ზედმეტი განმარტება არ სჭირია; და როცა საკითხი ასე ნათლად სდგას, ჩვენს პარტიაში არ უნდა ჰქონდა ადგილი „მოცენტრისტო“ ელემენტებს. პოლიტიკურ მერყევ ელემენტებისათვის მემარჯვენეებს ღია კარები აქვთ, ჩვენი რევოლიუციონური ნავსაყუდელი კი ასეთებისათვის მუდამ ჩაკეტილია. მემარჯვენეების დღევანდელ ხელმძღვანელებს რევოლიუციისათვის მუდამ ნახევრად ღია შესასვლელი ჰქონდათ. საკითხი მარტივია: ან ბურჟუაზიასთან ან მშრომელ დემოკრატიასთან უნდა აირჩიოს თვისი მუშაობის არენა ჩვენი პარტიის წევრებმა. და ერთთავად კიდევ გვიკვირს, რომ ზოგიერთ ორგანიზაციებში ცდა არის ზევიდან გაერთიანებისა. ნორმალურ პირობებში ეკლექტიზმი პოლიტიკისათვის უჩვეულო არ არის, როცა ცხოვრება ნაკლებად ირყევა. მაგრამ ასე არ არის დღეს, რევოლიუციის უდიდესი რღვევა-შენების პროცესის დროს. საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად სდუღს, რომ მისგან გადმობრუნებული ტალღები ხან მარჯვენა, ხან მარცხენა კიდეს ეხეთქება. შუა გზას, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში შესაძლებელი იყო, რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის ულმობელობა დაუნდობლად ანადგურებს. და ყოველივე ეს ხდება მეტი სისასტიკით, ვიდრე სჩვევია მდინარეს, რომელიც კალაპოტში გადმოსულ ჯირკებს ზოგს მარცხენა ყურის და ზოგსაც მარჯვენის, შუა ადგილას კი დორბლ-მორეული მდინარე არას დაგიტოვებს. დღევანდელი საერთაშორისო რევოლიუციაც ამ მდუღარე მდინარეს წააგავს. ამიტომ საჭიროა „ცენტრში“ მომხდარმა ამხანაგებმა მკაცრ სინამდვილეს ანგარიში დროზე გაუწიონ და უაზრო „ცენტრისტობას“ თავი ანებონ.

ნუ დაივიწყებენ ამხანაგები, რომ დრო არ იცდის, საერთაშორისო რევოლიუციის მეხი გავარდნას აპირებს და საჭიროა ამ დროს განახლებული კაცობრიობისა და მუშათა კლასის მწკრივებს ჩვენც ვამშვენებდეთ. სოციალისტური რევოლიუცია დღეს კაცობრიობის პროგრესის საქმეს ემსახურება და ნუ ვიქნებით ისტორიის ღერძის უკან მომბრუნებელის როლში. ავიტანოთ ჩვენი ეროვნულ-სოციალისტური კაცობრიობის მაღალი დროშა იდეალების სიმაღლეზე და ზვარაკიც ტკბილი იქნება ჩვენთვის. აკი მთელი ჩვენი დღე აქტუალურ ადამიანის მებრძოლი სულით ამოძრავებულ სოციალიზმს ვასხამდით ხოტბას მრავალ წლების განმავლობაში? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერავითარი ცენტრი ვერავითარ როლს ვერ ითამაშებს ჩვენს პარტიაში, მაგრამ ამის და მიუხედავად ჩვენ „ცენტრისტებზე“ ვლაპარაკობთ, ამდენს დროს ვცდენთ; მიზანი ერთია: ჩვენი წრფელი სურვილია, რომელსაც აგრე იმპერატიულად გვიკარნახებს რევოლიუციონური სინიდისი — დაუბრუნოთ რევოლიუციას მისი კანონიერი შვილები, გაუგებრობისგან კიდევ მერყევნი და შემცდარ გზაზე შემდგარნი. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ცენტრისტებზე, რომელნიც სოციალისტური ორიენტაციის ნიადაგზე სდგანან, თორემ ჩვენ დროს არ დავხარჯავთ იმათ მისამხრობათ, რომელთაც პოლიტიკა და პარტია თბილი ადგილებისათვის აინტერესებთ, რომელთაც სურთ ითამაშონ მაჰანკლის როლი ამავე მოსაზრებით: მემარცხენეობა კარიერისთვის სჭირიათ, მაგრამ მემარჯვენეებისაგან დიდათ „დავალებულნი“ არიან აღრიდანვე და ამიტომ ტყავში ძვრებიან, რომ პარტიის „მთლიანობა აღადგინონ“, ჩვენ ამ გვარ მთლიანობას კატეგორიულად უარვყოფთ. ჩვენი მთლიანობა სოციალისტური რევოლიუციისა და ეროვნული თავისუფლების ორიენტაციით იქმნება. და ასეთ მთლიანობას არამც თუ ვიცავთ, მისთვის ვსიცოცხლობთ, მისთვის ვსულდგმულობთ, მისთვის ვიტანთ ამდენს ზნეობრივს ტანჯვას, წამებას და შეურაცხყოფას. ყოველივე ეს იციან ცენტრისტებმა და ამიტომ ჩვენს ამხანაგურ ვალს ვიხდით და ვეუბნებით: დროზე მოდით გონს!

განელი.

ქალთა ორგანიზაციის საკითხი

(პასუხი ამხ. კატო მიქელაძეს.

4

ამხ. კატო მიქელაძეს ულოღიკობად მიაჩნია ქალთა ინტელექტუალური სისუსტის აღნიშვნა ერთი მხრივ და ქალის უფლებათა დაცვა მეორე მხრივ.

იგი არ კმაყოფილდება ჩემი წერილებით, რომელიც ქალთა ორგანიზაციის საკითხს ეხებოდა, უფრო შორს მიდის და ერთ ერთ ჩემ წერილს „ქალთა საკითხის გარშემო“ (ტრიბუნა № 9) უპასუხებს, რომ ჰკუათხელის გვარი ჰკვიანისათვის რა მისაღებიაო.

რა თქმა უნდა, ეს შენიშვნა სამართლიანი იქნებოდა, ჩვენ რომ საკითხი ემოციათა სფეროში დაგვესვა. მაგრამ როდესაც საზოგადოების უფლებრივ ნორმებზე გვაქვს ლაპარაკი, ამა თუ იმ წრის სიმპატია-ანტიპატია კი არ არის კრიტერიუმი საკითხის გადაჭრისა, არამედ სამართლიანობის პრინციპი. მაგრამ ამხ. კატოს მიერ დასმულმა საკითხმა ძველით, სრულიად უმართებულოდ, დიდი პრინციპიალი საკითხის ხასიათი მიიღო. ერთი მხრით ყოველი ჯურის კონსერვატორი, რომელიც ქალის მონურ მდგომარეობის განმტკიცებას ცდილობდა ხელმძღვანელობდა ქალის ინტელექტუალი სისუსტით; ხოლო მეორე მხრივ პროგრესიული ელემენტები ქალთა უფლებათა დაცვას, ქალის ინტელექტუალი სიძლიერეს ამყარებდა.

საკითხის ასე დასმა იმ თავითვე შეცდომა იყო. ჩვენ სწორედ ამიტომ, ჩვენ პირველ წერილში სქემატიურად აღვნიშნეთ ქალთა საკითხის ორი მხარე, ფსიქოლოგიურ-ანტროპოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური. თუ ეს ორი მხარე ქალთა საკითხისა ერთმანეთში აურიეთ, ვერავინ დასკვნას ვერ მივიღებთ და საკითხიც გადაუჭრელი დარჩება. ყოვლად დაუშვებელია, რომ პოლიტიკურ უფლებათა თანასწორ სარგებლობას, ინტელექტუალური თანასწორობა დაედოს საფუძვლად. ამ დებულების მიხედვით ისეთ შეუძლებლობასთან მივდივართ, რომ ყოვლად წარმოუდგენელი ხდება უფლებათა მატარებელი სუბიექტის განსაზღვრა, რადგან ჯერ მეცნიერებს არ უპოვნიათ ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც დაახლოვებით მაინც გვაჩვენებდეს ინტელექტის ხარისხს, მის შედარებას სხვა ინტელექტუარ აპარატთან.

ამიტომ, როდესაც ქალთა სწორ-უფლებიანობას, ემანსიპაციას ვიცავთ, სრულიად ზედმეტია ქალის გენიალობის მტკიცება. აქ სავალდებულოა მხოლოდ ერთი მარტივი და დღეს ყველასათვის მისაღები დებულება—ქალი ადამიანია.

იყო დრო, როდესაც ქალს ადამიანათ არ სთვლიდენ. ერთ ერთ საერთაშორისო-კონგრესზე კათოლიკეთა სამღვდელოებამ სპეციალად დასვა ეს საკითხი და დიდი მსჯელობის შემდეგ მივიდა ასეთ დასკვნამდე. იესო თავის თავს ადამიანის შვილს უწოდებდა, მისი მშობელი (ამ ქვეყნიური) მხოლოდ ქალი იყო, მაშასადამე ქალიც—ადამიანიაო. როგორც ვხედავთ, წინეთ ამ საკითხის გადაჭრას დიდი სილოგისტიკა სჭირდებოდა, თუმცა შემდეგაც სამღვდელოებამ მაკონის ყრილობაზე დიდი უმრავლესობით დაადგინეს, მოერიდებოდენ ქალს, როგორც ბოროტსა და მავნე არსებას. ასეთივე აზრი უფრო განმტკიცდა მეცტის ყრილობაზე და სამღვდელოებას აუკრძალეს დედებთან და დებთანაც ნათესაური და მშობლიური ურთიერთობა. მაგრამ, როგორც ვიცით. ასეთი მიმართულება ისტორიას ჩაბარდა.

დღეს არც ერთი მოაზროვნე, არც ერთი მკვლევარი ქალთა საკითხისა (მისი ფსიქოლოგიისა) ამას არ ამბობს და ვერც იტყვის.

ოტტო ვეინინგერი ცნობილია, როგორც ქალის აშკარად დამსახველი. იგი ამბობს: „ქალს არა აქვს არც ღრმა, არც მაღალი, არც მახვილი, არც სწორი გონება და განაგრძობს „იგი არის მოკლებული ყოველ აზრს, იგი—უაზრობაა“ *).

მაგრამ ასეთი მოაზროვნეც კი იძულებულია აღიაროს, რომ „ქალები მაინც ადამიანები არიან“ და „ქალსა და ვაჟსა ერთგვარი უფლება აქვსო“.

მაგრამ ვეინინგერის ხსენება ბევრს მეტად აღელვებს და ისევ სჯობია სოციალისტებისა და სოციალისტი ქალების აზრი მოვიყვანოთ. ჩვენგან უკვე ცნობილი ლილი ბრაუნი სწერს: როდესაც ქალთა მოძრაობა ძლიერდებოდა ფიქრობდნენ, რომ ქალებიც ისეთივე გონებრივ თვისებებით იყვნენ დაჯილდოვებული, როგორც ვაჟები, მაგრამ ქალთა სულიერ თვისებათა შესწავლამ დაგვანახვა, რომ სქესობრივი აქტი არა მარტო ქალის ფიზიკურ ცხოვრებაში ახდენს გავლენას, არამედ მის გონებრივ ცხოვრებაშიაც დიდ როლს ასრულებს. ქალი ბუნებრივად უკავშირდება ბავშს, მასში ვითარდება სიყვარული, შიში მორჩილება და არა თვითარსებობა. 1).

ელისაბედ კოსმანი სწერს „ფიზიკური ძალა ვაჟების ცხადია, რამდენჯერმე აღემატება ქალების ფიზიკურ ძალას“ 2).

ავგუსტ ბებელი აღნიშნავს „ბუნებრივ ჩარჩოებს ვერ გადასცდება ვერც ერთი სქესი, რადგან ამით იგი მოსპობდა თავის ბუნებრივ დანიშნულებას“ და იქვე განაგრძობს „მაგრამ ამით არ შეიძლება სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი სწორუფლებიანობა უარვყოთ“. 3) (ხაზი ავტორისაა).

ამ რიგად ქალთა ინტელექტუალური მხარე არ არის ის დასაყრდენი, რომელზედაც უნდა აშენდეს ემანსიპაციის პრინციპები. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ხელი უნდა აგვეღო ქალთა უფლებების დაცვაზე, რადგან, როგორც ყველა მკვლევართაგან ქალთა სულიერი ცხოვრებისა, ისე ამხ. კატოსაგანაც აღიარებულია თანამედროვე ქალის პასიობა, ჩამორჩენილობა. სოციოლოგი ფურიე, თავის მეტად საინტერესო შრომაში. რომელიც ფსიქიურ ფაქტორებს იხილავს ცივილიზაციის განვითარების პროცესში, ამბობს, რომ ქალური და ვაჟური ტემპერამენტის სინთეზი საუკეთესო პირობაა სოციალური ცხოვრების შემოქმედებისათვის.

ქალთა საკითხს და ქალის პიროვნებას დღეს არა მარტო მეცნიერებაში ყავს დამცველები, არამედ ხელოვნებაშიაც, როგორიც არის იბსენი, ჰაუპტმანი, ბრანდესი, მარია ფონ-ებნერ—ეშენბახი, ნორდაუ, ზუდერმანი, გამერლინგი და სხვები.

ამხ. კატო გვეკითხება „საინტერესოა, ვისი მხრით არ არის დასაშვები (ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები იგულისხმება) ქალების მხრივ თუ ვაჟების?“

ჩვენ ეს კითხვა უადგილოთ მიგვაჩნია მით უფრო, რომ ჩვენ წერილებში გარკვევით ვწერა შემდეგი: „იმდენათ დიდი უფსკრული გათხარეს ვაჟებსა და ქალებს შორის, რომ არავითარი ნდობა და საერთო საქმის საერთო ძალით კეთება არ სურდათ ვაჟებთან ერთად. რასაკვირველია ასეთი ტენდენცია დიდად საზარალო იყო, როგორც საერთოდ მუშათა კლასის ძალებისათვის, ისე კერძოდ კიდევ მეტად საზარალო იყო ქალთა ინტერესებისათვის“.

აქ, როგორც ვხედავთ ამხ. კატოს კითხვაზე ნათელი პასუხია, ხოლო მისი კითხვა თავის თავად ამტკიცებს ჩემ დებულებას, რომ დამოუკიდებელი ორგანიზაციის ნიადაგზე მდგომი ქალები, ცდილობდნენ ხელოვნურად უფსკრულის გათხრას ვაჟებსა და ქალებს შორის. ცხადია ამხ. კატოც ასეთივე საქმეს გაუწევს სამსახურს, თუ ყოველ მოვლენას ქალ-ვაჟთა ინტერესების წინააღმდეგობით მიუდგება.

ამხ. კატო განაგრძობს, რომ ქალთა ორგანიზაციებმა უნდა „სპეციალურად ქალთა საქმე“. ჩვენ უნდა ავღიაროთ, რომ არ ვიცით რა სპეციალი საქმე არსებობს ქალებისათვის პოლიტიკური შინაარსის. კარგი იქნება ამხ. კატო უფრო დეტალურად გვეტყოდეს რაში მდგომარეობს „სპეციალურად ქალთა საქმე“. (რა თქმა უნდა არა კულტურული არამედ პოლიტიკური).

მაგრამ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს კიდევ სხვა მისიაც ჰქონია. ამხ. კატო გვეუბნება, რომ ქალებს ვერ უსწავლიათ ვერც „თავმჯდომარეობა კრებისა, ვერც მდივნობა და ვერც დალაგებული საუბარი საზოგადოებაში“ ისინი ე. ი. ქალები „იბნევიან და თუ ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ საშინელი მღელვარე ძალდატანებით“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომაც კი არის საჭირო, ქალი პოლიტიკური პარტიის წევრი იყოს, იგი ეჩვეოდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას და საბოლოოდ განთავისუფლდეს კარჩაკეტილობიდან და თამამად იყოს ვაჟთა საზოგადოებაში ისე, როგორც იგი არის ქალთა საზოგადოებაში. ამასთანავე არ ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის მიზანი იყოს თავმჯდომარეობისა, მდივნობისა ან თამამად ლაპარაკის სწავლა. ყოველივეს შესაძლებელია ისწავლოს ქალმა ყოველ ორგანიზაციაში. ჩვენ ახალგაზრდათა ორგანიზაციის ტიპი, რომ მოვიყვანეთ და ვამბობდით ასეთივე სტრუქტურის უნდა იყოს ქალთა ორგანიზაციაცთქო, თავის თავად ვგულისხმობდით, რომ იგი, როგორც საერთო ახალგაზრდათა ორგანიზაციები, პოლიტიკურად პარტიასთან იქნებიან, ხოლო კულტურულად კი ავტონომიურ ორგანიზაციის ფარგლებში იმოქმედებენ.

ამხ. კატო გვეუბნება „ბურჟუა და პროლეტარ ქალს, თუ ეკონომიურად და აქედან პარტიულად არაფერი აქვს საერთო, სამაგიეროდ უფლებრივ საკითხში, მათი ინტერესები ერთიანად შელახულია.“ ამიტომ მათი ერთად თავის მოყრა, ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნა „სპეციალურად ქალთა საქმის“ საკეთებლად შესაძლებელია.

შემდეგ ამხ. კატო სწერს „მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პარტია ყოველგვარ ბურჟუაზიულ ელემენტებით გაწმენდილი ამ ნიადაგზე სდგას“.

უნდა აღვნიშნოთ ამხ. კატოს საყურადღებოდ, რომ არა მარტო „ბურჟუაზიული ელემენტებიდან სრულიად გაწმენდილი“ პარტია ბურჟუა ქალებს მოუყრის თავს თავის ორგანიზაციებში.

მაგრამ თუ ამხ. კატოსათვის შესაძლებელია კლასთა თანხმობა და სხვა და სხვა კლასის ქალთა შეერთებული დამოუკიდებელი ქალთა ორგანიზაცია, მაშინ რა შუაშია აქ პარტია? ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები მისთვის იყვნენ დამოუკიდებელნი, რომ ისინი არც ერთ პარტიაში არ შედიოდენ.

ამხ. კატო კიდევ მრავალ საკითხს სვამს, რომელსაც, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა გაეცეს, მაგრამ ჩვენი საუბარი ისედაც მეტად გაგრძელდა და ვფიქრობთ მოკლეთ უნდა ვუპასუხოთ.

საერთოდ ჩემ წერილებში ქალთა ორგანიზაციის შესახებ, ფემინისტური მოძრაობის ისტორიით ვხელმძღვანელობდი, მომყავდა ფაქტები, ქალთა საერთაშორისო კონგრესებიდან, აღვნიშნავდი იმ ბრძოლასა და ანტაგონიზმს, რომელმაც თავი იჩინა ქალთა ორგანიზაციებში და რომელმაც კიდეც დაშალა საერთო ორგანიზაციები. აქედან გამომყავდა დასკვნა, რომ ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები, განსაზღვრული პოლიტიკური მიზნებით არ შეიძლება არსებობდეს ჩვენში, მით უფრო, რომ ასეთი ორგანიზაციები დღეს ევროპაშიაც აღარ არსებობს, იგი მოკვდა თავისი ბუნებრივი სიკვდილით, გ. ულსს უკანასკნელი დროის ცნობა მოყავს (ომის პირველი პერიოდის,) რომ ქალთა ორგანიზაციები ინგლისში შუაზე გაიყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შეთანხმდენ, თუ რო-

---

*) Отто Вейнингеръ „Полъ и характеръ стр. 248.

1) „Мужчина и женщина“ I ტომი ლილი ბრაუნის სტატია „Духовная жизнь женщинъ“.

2) იმავე წიგნის III ტომი. გვ. 25.

3) А. Бебель „Жен. и соціализмъ“ стр. 204.

მუშებს.

—მთანი გიგზავნით ამბავსა, ქარი მოგიტანს ქროლითა,
აჩქარდი, შავო ხიანო, გულდინჯად ნუ ხარ წოლითა!
არ ამობრქრდეს ამინდი, თავს არ დაგატყდეს წყრომითა;
ინძრევა რაღაც ტალღები, რაღაცას ვამჩნევთ შორითა.
გზები არ გადაგინაქროს მაგარის ცივის თოვლითა
მოუსვლელ დაჰრჩე მიმსვლელი აღთქმის ქვეყანათ შორისა,
ვეღარ დაჰლიო წყარონი, მდინარნი თეთრის ზოლითა;
მომცემნი უკვდავების, უშრეტის ძალის—ღონისა.
—ნუ გეშინიანთ, ფხიზლად ვარ! გულის ფანცქალით თრთოლითა,
მეც ვამჩნევ ამინდის ნძრევას აზრთა ისარის სროლითა,
მალევ გავარღვევ ნამქრებსა, ჩემს წინა ჩამოწოლილსა,
დადალვის არ მეშინიან, მკერდზედ ოფლით ჩამოქონისა,
მუხლნი სავსენი ძალ-ღონით მაქვან არ ასაწონითა.
იყვენით მხიარულადა ლმინვით მიყურეთ შორითა,
რას იქამს შავჩოხიანი ბრძენთა ბრძენისა გონითა.
მალევ მოგივათ სახელით ზღაპართაცა შასაწონითა.
საკარგყმო დამახვედროდით გაღმა ლაშქარის გორითა,
ვერ ავასრულო ნათქვამი, გექნებითმც ნულარ ყოლითა.
ბედი ახალუხს მიკერავს, გაბედვით იღიმებისა.
მლვა კბილთაგან ნაკრთომი გულის პირთ მომადგებისა,
გარედან სიბრძნეს უკეთებს,—ბნელში წინ გაგიძღვებისა,
სარჩულად ბრძოლას დაუდებს,—მთიულთ ეგრ შაუხდებისა,
უკვდ ცსა გიშრის ნაწნავებსა სირმადა დაუდებდისა,
ძაფად უკეთებს სიმშვენეს,—აცივდეს შენ დაგთბებისა.
მეტყვის: ჩაიცვი სამუდმოდ, ზედ გეცვას არ გაცვდებისა,
უშიშრად შადი ომშია, მტრის ტყვია არ მოგხვდებისა,
შამომარტყამდის ფრანგულსა, მტერს დაკა, არ გატყდებისა,
შამიკმაზავდის ლურჯასა, ადვირსაც ჩაუდებდისა,
სულს ჩამიდებდის საგზლადა, შიმშილ არ მოგიდგებისა,
მაიმედებდის: საკერხე გაჰერდეს, წინ წადგებისა,
მოსეტედ ამოგირჩევენ,—ლაშქარს წინ გაუძღვებისა,
მიყვანს აღთქმის ქვეყნადა, სისწორე იცის გზებისა,
სადაც სინათლე ტრიალებს, სამოთხეს ემსგავსებისა,
სადაცა თოფი არ ჩქამობს, არც ტრიალია ხმლებისა,
სადაც სიბრძნეა მეფედა: წესია აზროვნებისა,
სადაც ცხოვრობენ მრავალნი, როგორც ოჯახი ძმებისა.

შალვა ბეწუკელიშვილი.

გორი „კოსტიუმები" ჩაეცვათ დემონსტრაციების დროს. (აღსანიშნავია, რომ გ. ჟულსი არ არის. ქალების „მტერი" და ამ ფაქტს გულის ტკივილით აღნიშნავს.)

ასეთი სურათი ფრიად სამწუხაროა. ნახევარი კაცობრიობა თუ კულტურულ, პოლიტიკურ და მეცნიერულ მოღვაწეობას ჩამოშორებული იქნა, ეს მეტად ცუდი სიმპტომია პროგრესისათვის, წინსვლისათვის. სწორედ ამიტომ ვამბობდით ჩვენ, რომ ქალთა ორგანიზაციები პოლიტიკურ პარტიებში უნდა შედიოდეს და იგი ამით საზოგადოებრივ ასპარეზზე უნდა მოღვაწეობდეს, ამხ. კატო ფემინისტური ისტორიით არ სარგებლობს. იგი ამბობს, რომ ჩვენ „დრმათ გვწამს" ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის დიდი მნიშვნელობა. ჩვენ ვიცით, რომ ამხ. კატო ზედმიწევნით იცნობს ქალთა მოძრაობის ისტორიას და თუ მას სურდა ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის დაცვა, ამისათვის ასეთი ორგანიზაციების ისტორია აუცილებლად მასალად უნდა გამოეყენებია მას და ჩემ დებულებებს, ჩემ ეკსკურსიებს, ფემინისტური მოძრაობის ისტორიიდან, ძისი დებულებები, მისი ეკსკურსიები დიამეტრალურად უნდა დაპირისპირებოდა. ასეთ შემთხვევაში კამათიც სწორი იქნებოდა და საკითხის გარკვევაც მიზან შეწონილი.

იქნებ ვერავის „დრმა რწმენას" ვერ ვეცნობით, თორემ მაშინ ნიცშეც კი [illegible] გვეუბნება, რომ ქალის მახლობლად ყოფნისას მათრახი არ დაივიწყოთ.

ამ რიგად, სანამ ამხ. კატოს ფემინისტური ისტორიიდან არ დაუმტკიცებია ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის მნიშვნელობა, სანამ კონკრეტიულად არ გაანუმეროვებს „სპეციალური ქალთური საქმეს", სანამ არ გამოარკვევს ბურჟუა და პროლეტარ ქალის ინტერესთა ერთობა რაიმე პოლიტიკურ საკითხში, მანამ ჩვენ ვერ ვენდობით ამხ. კატო მიქელაძის რწმენას, თუ გინდა მან მთელი ქარ. ქალები დაგვისახელოს, რომელნიც „სოციალისტური წიგნებით" კი არა, არამედ თავისი „დრმა რწმენით" ხელმძღვანელობენ.

ჩვენ კი გვგონია, რომ ბურჟუაზიული ელემენტებისაგან გაწმენდილი პარტია, ბურჟუა ქალებს ვერ დაუშვებს თავის წრეში, რადგან მას არავითარი საერთო ინტერესი არ შეიძლება ჰქონდეს ჩვენთან.

ხერ. ამაღლობელი.

—

P. S. წინა წერილში ჩვენ შეცდომით აღვნიშნეთ, რომ „კარიოკას" ტიპი ამხ. კატოს აქვს, როგორც კაპიტალისტური და სოციალისტური გარდამავალი პერიოდის ტიპი. ნამდვილად კი იგი სწერს, რომ „კარიოკა" არის ტიპი „როცა კაპიტალისტური წყობილება ნატურალურ წყობილებას ანადგურებსო". ამიტომ ჩვენ უკან მიგვაქვს ჩვენი სიტყვები.

ს. ა.

მორიგი პოზიცია

შრომისა და კაპიტალის შორის ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით, დღეს არავისათვის ამოცანა არ არის; მაგრამ ეს ბრძოლა ჯერ კიდევ იმ სტადიამდის ვერ ასულა, რომ შრომას ყოველი მშრომელი იცავდეს, ან კიდევ კაპიტალის ინტერესს—(საერთაშორისო მასშტაბით) ყოველი კაპიტალისტი. არსებობს განხეთქილება საერთაშორისო ბურჟუაზიის წრეებს შორის შრომის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების გამონახვის დროს, ასეთივე განხეთქილება ბუდობს მუშათა შორისაც თავის ინტერესების გაგების ნიადაგზე. დაწმენდილი, ერთი პოლიტიკისა და გეგმის მქონე ბურჟუაზია არ ღებულობს მონაწილეობას დღევანდელ საერთაშორისო კლასთა ჭიდილში; მაგრამ ჯერ ჩვენ ვერ ვხედავთ მთელი ქვეყნის მუშათა კლასის მწყობრად მებრძოლ რიგებსაც. ბრძოლა არსებობს არა მარტო საერთაშორისო ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის; საბრძოლად მიიწევენ ერთი მეორისაკენ თვითეული კლასის სხვა და სხვა ნაწილებიც კი. ჩვენ ვიცით, რომ ანტანტა, როგორც იურიდიული პიროვნება უკვე დაიშალა და ახალ-ახალი კომბინაციები და შესაძლოებანი იშლება პოლიტიკურს ჰორიზონტზე. ინგლისი უფრო ეჭვით უყურებს საფრანგეთის გავლენის გაძლიერებას ევროპის კონტინენტზე, ვიდრე ამ რამოდენიმე თვის უკან უყურებდა და ხშირად უკმაყოფილებასაც გამოსთქვამს იმ გაბედული მეთოდის გამო, რომელსაც ადგება იგი რევოლიუციის (რუსეთის) წინააღმდეგ ბრძოლის დროს. უფრო გაშმაგებით და მეტი მძულვარებით უყურებენ ერთი მეორეს ამერიკა და იაპონია. და თვითეულ მოქიშპეს ჰგონია, რომ ის მართალია, არა მარტო როგორც საკუთარი ინტერესების დამცველი, არამედ, როგორც საერთაშორისო კაპიტალისტური საფუძვლების გამმაგრებელი და რევოლიუციის კისრის მომტეხი. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი მუშათა წრეებშიაც. უკვე ოთხი ინტერნაციონალი ექნება მუშათა კლასს სულ მოკლე ხანში, ოთხი საერთაშორისო პოლიტიკური პლატფორმა, ოთხი ინტერნაციონალური სტრატეგია! მაშ, როგორც სჩანს ბრძოლა სწარმოებს არა მარტო ანტიპოდ სოციალურ კლასებს შორის, ხელკეტობა და თარამტრიალია გაჩაღებული თვით ერთსა და იმავე სოციალურ კატეგორიაში. უეჭველია რომელიმე ამ ორ მებრძოლ კლასთა შორის მოასწრებს შინაური მთლიანობის აღდგენას და ვაი იმ კლასს, რომელიც მოზღვავებულ მთლიან მტერს დაქსაქსულ-დაყოფილი დახვდება! ამიტომ ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება დღეს მუშათა კლასის შინაურ ურთიერთობაზე შევაჩეროთ. ომის გათავებიდანვე მუშათა ოჯახში ორი ძლიერი მიმართულება შეეჯახა ერთიმეორეს: ერთი იყრიდა თავს მეორე ინტერნაციონალის ირგვლივ, მეორე კი —მესამე ინტერნაციონალის გარშემო. ორი ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-სოციალური ფორმულა დაუპირდაპირდა ერთი მეორეს: დემოკრატიზმით—სოციალიზმისაკენ და დიქტატურით—სოციალიზმისაკენ არის ის ცნობანი, რომელთაც დღევანდელმა მომენტმა არგუნა ურთიერთშორის სამკვდრო-სასიცოცხლო დავის ატება. მაგრამ ომის დასაწყისში და მის პროცესში იმდენად დაშავდა მეორე ინტერნაციონალი, რომ პოლიტიკურად მოაზროვნე მუშათა წრეებში მან ფიასკო განიცადა. ჰიუსმანსა და ვანდერველდეებს გამოეცალათ ის მუშათა ლაშქარი, რომელიც პოლიტიკურ ორგანიზაციებში იყო დარაზმული. მესამე ინტერნაციონალი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან და მეორე ინტერნაციონალის შტაბი, სამარცხვინოდ დამარცხებული, უკანასკნელ პოზიციასაც სტოვებს. მაგრამ დახევის დროს, პოლიტიკური ბრძოლიდან გაქცეული მეორე ინტერნაციონალის ინვალიდები თავს პროფკავშირებში აფარებენ და იქიდან უნდათ დაკარგული პოლიტიკური ავტორიტეტის აღდგენა. პროფკავშირები კი ევროპა-ამერიკაში ამ თავიდანვე ოპორტუნისტული იყო; თავიდანვე პოლიტიკურ მაჯისცემას მოცილებული, ტრედიუნიონიზმის სულით გაჟღენთილი პროფკავშირები უძლიერესი სიმაგრე შეიქმნა რევოლიუციის ბუნებრივი მსვლელობისგან გარიყულებისათვის; და დღეს მუშათა კლასის დიდი ნაწილი, რომელიც პროფკავშირებშია დარაზმული, კიდევ გომპერსებისა და ლეგინქულების პოლიტიკური ცოდვების მსხვერპლი გახდარა. ამიტომ საჭიროა საერთაშორისო რევოლიუციონური ავანგარდის მეტი ენერგიით თავდასხმა ამ უკანასკნელს მათ ნავსაყუდელზე. პროფკავშირები რევოლიუციონური დემოკრატიის ბუნებრივი ბინაა და იგი მას აუცილებლივ უნდა დაუბრუნდეს. დღეს წარმოებული ბრძოლა ამსტერდამსა და მოსკოვს შორის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ბრძოლაა. დღეს გენერალური ბრძოლა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ბედი მთელი კაცობრიობის სტრუქტურისა, ხდება პროფკავშირების ირგვლივ, და ამიტომაც ასე გაცხოველებულია შინაური ცხოვრება დასავლეთ ევროპის პროფკავშირთა. ვისკენაც გადახრის საბოლოოდ ამ ჭიდილის სასწორი პროფკავშირებში, ის უკარნახებს გეზს მთელს მუშათა მოძრაობას. დღეს ფაქტიურად ბურჟუაზიის ბედი სწყდება პროფკავშირებში და ამიტომაც არის, რომ ერთა ლიგაში იგი ასე გულუხვად ეპატიჟება ჟუო-ტომებს, საერთაშორისო „შრომის დასაცავ" კანონების გამოსამუშავებლად. ლეგინ-გომპერსები კი უარყოფენ რევოლიუციას და ბურჟუაზიის გამოშვერილ ხელს მაგრად ეჭიდებიან.

დღეს მორიგი პოზიცია რევოლიუციის განვითარების პროცესში პროფკავშირებია, რომელნიც ასე ხელოვნურად, ასე ოსტატურად არიან დაცულნი რეფორმისტული მავთულებით. ამ პოზიციის აღება კი მაშინ შეეძლება მუშათა კლასს, თუ კი შევსძლებთ მას ავხსნათ პროფესიონალურ კავშირების როლი და მისია თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუციისა და იმპერიალიზმის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს. დღევანდელი სოციალისტური პარტიების ვალია (რასაკვირველია, რომელნიც რევოლიუციის ორიენტაციას იზიარებენ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და ენერგიული იერიშები მიიტანონ პროფკავშირებზე, რომელნიც ჯერ კიდევ რევოლიუციის მოღალატეთა ხელშია. ამ ბრძოლის მნიშვნელობა მორიგ პოზიციაზე წინააღმდეგ მიმართული კარგად ესმის მესამე ინტერნაციონალს; ამიტომაც იგი შეკრული და რევოლიუციონური გაბედულებით მიეშურება ამსტერდამის ყვითელ პროფკავშირთა სიმაგრეების ასაღებად.

ვეცდებით რამოდენიმეთ გავაშუქოთ პროფკავშირთა—ამ მორიგი პოზიციის მნიშვნელობა მუშათა კლასის წინაშე შემდეგ წერილებში.

ეფ. ხარანოელი.

რუსული პრესსა

გაზ. „გუდოკს" № 414 მოჰყავს ამონაწერი მილიუკოვის გაზეთ „პოსლედნი ნოვოსტი"-დან (პარიზში), რომელშიც მოთავსებულია კონსტანტინეპოლელ კორესპონდენტის შემდეგი ცნობა: „ვის არ შეხვდება კაცი პერის ქუჩებზე: ოფიცრობას, დაწყებული გენერლებიდან (უკანასკნელნი განსაკუთრებით ბევრია) და გათავებული პოდპორუჩიკით, ყოფილ მსხვილს ჩინოვნიკობას, ყოფილ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივს მოღვაწეებს, ყოფილ მწარმოებლებს, ყოფილ მემამულეთ (უკანასკნელნი უფრო მეტია, ვიდრე გენერლები) ყოფილ გრაფებს და თავადებს და ერთი სიტყვით ნახავთ მთელს გროვას, სხვა და სხვა პროფესიის ყოფილი ხალხისას, რომელნიც რევოლიუციის გრიგალმა გადაისროლა წარმტაც, მაგრამ დღეს რუსებისათვის ცუდ თავშესაფარ ბოსფორის ნაპირებზე. დილიდან საღამომდის ეს ნამტვრევები ძველი რუსეთისა: ნაშთები თუ არმიისა, საპატიო წოდებისა, მიწის მფლობელთა, წარმოებისა, ვაჭრობისა, ბიუროკრატიისა თუ ინტელიგენციის დაღაჯობენ ჯოჯოხეთურ კონსტანტინეპოლის ქუჩებში, სადაც თუ ერთხელ მოხვდი, უნდა გამოეთხოვო ყოველივე იმედს თავის დახსნისას, რადგან ჰეშმარიტად უფრო ადვილია აქლემი ნემსის ყუნწში გაძვრეს, ვიდრე რუსმა აილოს გამოსვლის ნებართვა.

საქმე კი მათ სრულიად არ აქვთ, რადგან არ არის სამუშაო და თითქმის სპეკულიანტებიც კი დაეცენ სულით და ოცნებობენ მხოლოდ იმაზე, რომ როგორმე თავი დააღწიონ ამ საშინლებას იქიდან წასვლით.

ამგვარს ღატაკობას, ამგვარი მატერიალურ სივიწროვეს და რაც საშინელია, ზნეობრივს დაქვეითებას, როგორსაც კონსტანტინეპოლში აქვს ადგილი, ვერსად შეხვდებით. ხარჯავენ სხვა და სხვა „ყუთებში" უკანასკნელს პიასტრებს და მეორე დღეს მიდიან რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებაში დახმარების სათხოვნელად. ამ ხალხმა დაჰკარგა ადამიანური ღირსება და დაივიწყა თუ რა არის დამცირება და სირცხვილი".

ნუ თუ სერიოზულად ჰგონია მილიუკოვის გაზეთს, რომ ეს ხალხი მხოლოდ დღეს დაეცა და გაიხრწნა ზნეობრივად, რომ ამის მიზეზი ბოსფორის ჯოჯოხეთად გადაქცევაა? საჭიროა შეიღოს ბ-ნი მილიუკოვის კორესპონდენტმა ძველი სასახლეების და კაფე-შანტანების საიდუმლო კარები, რომ მყისვე იცნოს იქ ბოსფორის გახრწნილები. ფარდა ჰფარავდა მათ, დღეს კი ეს ფარდა აწეულია.

საქ. სოც. ფედ. სარ. პარტიაში

შაბათს, ოქტომბრის 15-ს, საღამოს 7 საათზედ, პარტიის მთავარ ბიუროში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია სოც.-ფედ—ტ ქალთა კრება.

ახალი ამბები

— **ხახურხათო ყრილობამ** აირჩია პრეზიდიუმი 5 კაცისაგან შემდგარი: ამხ. ბრუხანოვი, ერქომაიშვილი, მესაბეგოვი, კონუშკინი და ადონ.

— **ბავშვის კვირა.** 12 ოქტომბერს შესდგა ქალაქის ყველა რაიონთა სახლის კომიტეტების თავმჯდომარეთა კრება, ბავშვის კვირის გატარების შესახებ, რომლისათვის მთავარ კომიტეტის წევრის მიერ გაკეთებული იყო საინფორმაციო მოხსენება. სახლის კომიტეტთა საშუალებით მთავარი კომიტეტი მიმართავს თხოვნით მცხოვრებლებთ, რომ ხელი შეუწყონ შემოწირულებათა შეგროვებისა. განმარტებული იყო წესი და ხასიათი შეგროვებისა და გამოცხადებული გვარი და ადრესი სარაიონო სამეულისა.

— ამ დღეებში გაიხსნება მასწავლებელთათვის სასადილო. პირველ ხანებში 500 კაცისათვის.

— ყველა მთავარ გამგეობას და სახალხო განათლების კომისარიატის ცენტრებს წინადადება მიეცათ მოაწყონ დამკვრელი წესით არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა (წარმოადგინონ საორგანიზაციო კომისიაში დამხადებული) განყოფილებების ყველა (ეკსპონატები) საბჭოთა მშენებლობას და მეურნეობის გამოსაფენათ. (შედეგი 25 თებერვლიდან პირველ სექტემბრამდე მუშაობის შედეგი, ანგარიშები დიაგრამები და სხვა) ოქტომბრის საზეიმო დღის გასატარებლად.

— კვირას 16 ამ თვეს, სახელმწიფო უნივერსიტეტში (1-ლი აუდიტ.) ამხ. ხერგთ ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქართველოს პრობლემა და ჩვენი პოლიტიკა". დასაწყისი დილის 10 საათზე. მოხსენების შემდეგ კამათი. დასწრება შეუძლია მხოლოდ სოც.-ფედერალისტებს.

უცხოეთი

არეულობანი ინდოეთში

ლონდონი, 30 სექტ. გაზ. „ტაიმსი" იუწყება: მალაბარის [illegible] ონში რთულდება. ინგლისელებმა შეკრიბეს საგრძნობი ძალები ინდოეთის ჩრდილოეთ დასავლეთის საზღვარზე. ადგილობრივი რაზმები ინგლისის ჯარების წინააღმდეგ იბრძვიან არა ჩვეულებრივი სიმტკიცით და ფანატიზმით. ერთ ასეთ ბრძოლის დროს ინდოელებმა, მანამ არ დასტოვეს ბრძოლის ველი, სანამ არ განადგურდა მათი უმრავლესობა. აჯანყებულებთა შორის გაძლიერებულ სარწმუნოების ხასიათის აგიტაციას ეწევა ხალიფატების ორატორები. აჯანყებულებათა უმრავლესობა ატარებენ ამულეტებსა და სადვთო ნიშნებს, რომლებიც იცავს მათ დამარცხებისაგან.

პარიჟი, 30 სექტ. „ტანი" ამავე საკითხზე სწერს: ინდოეთის მდგომარეობა აფიქრებინებს ევროპის პრესას. გაზეთი „მორინგ პოსტი" სწერს: თუ ასე გაგრძელდება მომავალშიც, ჩვენ დავკარგავთ კოლონიას ან და იძულებული ვიქნებით აღვადგინოთ ინგლისის უფლებები შეიარაღებული ძალებით დაუსასტიკი რეპრესიებით. აჯანყება ვრცელდება ახალ ახალ მიდამოებში. ინდოეთის უუმდიდრესი და მჭიდროთ დასახლებული ადგილები მიემხრენ აჯანყებულებს, აჯანყებულთა ადგილებში ტრანსპორტის მოშლისა და მთავრობის ორგანოების გამო, იწყება შიმშილი. ინსურგენტები ისეა განწყობილი, რომ ყოველ წამში შესაძლებელია მიემხრონ ბოლშევიკებს ან ახალგაზრდა ოსმალებს.

ლონდონი, 2 ოქტ. 1 ოქტომბრის „ტაიმსი" სწერს: ჯერ კიდევ დრო არ წასულა. წესრიგის აღდგენა კიდევ შეიძლება. ინდოეთის მთავრობა ძალიან სუსტად მოქმედობს, მაშინ როდესაც, საჭირო იყო მტკიცე ხელისუფლების გამოჩენა. დადგა მომენტი, აჯანყებას ხელს უწყობს მოპლას მომხრეთა ფანატიზმით და ნაციონალურ მოძრაობის ბელადის განდის აგიტაციით. გაზეთი შემდეგ ამბობს, რომ განდი ეწევა უშიშარ აგიტაციას ხალიფატების დამოუკიდებლობისა და სევრის ხელშეკრულების დარღვევისათვის. გაზეთი თავის მხრით წინადადებას იძლევა გარედან სერიოზულ მუქარისა და შიგ საშიშროების გამო, დაუყონებლივ გაძლიერდეს ინდოეთში სამხედრო ძალები.

„იზვესტიას" ცნობით ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გადასცეს რუსეთის დიმშეულთა სასარგებლოთ ომის შემდეგ დარჩენილი მარაგი.

გრანდიოზული მიტინგი. ლონდონში შესდგა უმუშევართა დიდი მიტინგი. შენობა რომელშიაც მიტინგი გაიმართა დამშვენებულ იიყო წითელი დროშებით. ორატორების აზრით ამ ზამთარში აუცილებლად იფეთქებს რევოლიუცია.

— სოციალისტური პარტიის მდივანმა ეახემ პარლამენტის კულუარებში განაცხადა, რომ ბონონი დასთანხმდა ნება დართოს ლუნაჩარსკის იტალიაში შესვლისა სოციალისტურ კონგრესზე დასასწრებლად.

— გაზ. „ტანის" ცნობით გერმანიის პოლიციამ ამცნო დანიის პოლიციას, რომ ერცბერგერის მკვლელნი დანიაში იმყოფებიან.

— შვეციაში მოელიან ახალ მთავრობის შედგენას სოციალისტებისაგან.

— ველინიდან იუწყებიან, რომ სერბიელები აგროვებენ დიდ ძალებს სკუტარის გარშემო იმ მიზნით რომ დაიკავონ ეს ქალაქი.

— ლონდონიდან იტყობინებიან რომ სილვია პანკჰერსტმა განაცხადა, რომ ია განაგრძობს „უორკერს დრედნოტის" გამოცემას, როგორც დამოუკიდებელ კომუნისტურ გაზეთისას.

— ლუვის მაგალითით შეერთებულ კომუნისტების პარტიის პარლამენტის ფრაქციიდან გამოვიდა აბლოლე გოფმანი და დეიმიგი. ისინი შეადგენენ ახალ ჯგუფს რეიხსტაგში, რომელიც წარმოადგენს ახალ ჩანასახს კომუნისტურ პარტიისას დამოუკიდებელ მოსკოვიდან.

შეცდომის გასწორება.

ტრიბუნის № 45 სერ. ამაღლობელის წერილში სხვა კორექტურულ შეცდომასთან ერთად არის „გავშთი დედაკაცი" უნდა იყოს: „გვერდი დედაკაცი".

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

დაჰკარგე მატრიკული ელისბარ კონსტანტინეს ძე ჯაფარიძის სახელზე, რასაც გაუქმებულად ვაცხადებ.